ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4405065

ნომერი: AR1665463

თარიღი : 05.03.2019

გაცემის თარიღი : 07.03.2019

გაცნობის თარიღი : 28.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 82;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 05

მარტს NAR1665463 განცხადებით მომართა ვლადიმერ აბრამიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი N82–ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.10.001.077) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 13 დეკემბრიდან 2021 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის №4337418 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და დაფიქსირდა: საერთო ფართობი: 24868.2 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი: 13626.5 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 3507.5 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 2898.9 კვ.მ, დამხმარე ფართობი: 108.7 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 4726.6 კვ.მ. ასევე, ამავე ბრძანებით შეთანმხებული -2, -1, მე-6, მე-12 და მე-14 სართულის გეგმები ჩანაცვლდა 2018 წლის 21 დეკემბრის №AR1651664 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების ბლოკების შესაბამისად გამოყოფა, წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის შესაბამისად.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადების რეგისტრაცია – №892018347233, მომზადების თარიღი: 01/05/2018 11:27:38) თანახმად, N01.14.10.001.077 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „ჰილს დეველოპმენტი“-ს (404993600) საკუთრებას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადების რეგისტრაცია - B18000322, მომზადების თარიღი: 04/01/2018 10:40:14) შპს „ჰილს დეველოპმენტი“-ს (404993600) დირექტორია ანრი ბაციკაძე (პ/ნ: 01024002223). სამსახურში წარმოდგენილია ანრი ბაციკაძის მიერ გაცემული, შესაბამისი წესით დამოწმებული, ვლადიმერ აბრამიშვილისთვის უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N190235231, რეგისტრაციის თარიღი: 05.03.2019).
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს შემდეგნაირად: „A“ ბლოკი: საერთო ფართობი: 7590.3 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი: 4205.6 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 841.8 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1087.2 კვ.მ.
„B“ ბლოკი: საერთო ფართობი: 11754.4 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი: 6660.7 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 1762.7 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1323.4 კვ.მ.
„C“ ბლოკი: საერთო ფართობი: 5523.5 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი: 2760.2 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 903.0 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 488.3 კვ.მ, დამხმარე ფართობი: 108.7 კვ.მ,
ავტოსადგომების საერთო ფართობი: 4726.6 კვ.მ. მათ შორის: „A“ ბლოკისათვის: ავტოსადგომის ფართობი: 1455.7 კვ.მ. „B“ ბლოკისათვის: ავტოსადგომის ფართობი: 2007.6 კვ.მ. „C“ ბლოკისათვის: ავტოსადგომის ფართობი: 1263.3 კვ.მ.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4300669 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.